საზოგადოება

მაია კობახიძე - მანდატურმა მასწავლებლის ავტორიტეტი არ უნდა შელახოს

17:31 08-12-2010

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების პრეზიდენტი მაია კობახიძე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს და პედაგოგებს ხვდება.

შეხვედრის დროს პედაგოგებმა მაია კობახიძეს სკოლებში არსებული ვითარება გააცნეს. როგორც მაია კობახიძემ შეხვედრისას აღნიშნა, მისი მიზანი პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან აქტიური თანამშრომლობა იქნება, ვინაიდან სწორედ პირველადი ორგანიზაციის რაიონული ხელმძღვანელები იქნებიან თითოეული პედაგოგის შეხედულების გამზიარებლები.

"ყველა პედაგოგს უნდა მიეცეს საშუალება გამოხატოს თავისი აზრი მიმდინარე რეფორმებსა და სკოლის ყოფიერებასთან დაკავშირებით. პედაგოგების და პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან ერთად ვიზრუნებ არსებული პრობლემების მოგვარებაზე", - განაცხადა მაია კობახიძემ.

მისივე თქმით, საქართველოს პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირები მიესალმება უსაფრთხო სკოლის კონცეფციას, მაგრამ იქვე დასძინა, რომ მანდატურთა უფლებები ხშირად გადამეტებულია.

კობახიძის თქმით, მანდატური არ უნდა იჭრებოდეს გაკვეთილის ჩატარების პროცესში და მოსწავლის თანდასწრებით, მასწავლებლის ავტორიტეტი არ უნდა შელახოს.

"ეს ინსტიტუტი კარგია, მაგრამ დასახვეწია. პირველადი ორგანიზაცია იზრუნებს ამის მოსაგვარებლად", - აღნიშნა კობახიძემ და დასძინა, რომ იგი მიესალმება საგანმანათლებლო რეფორმას, რომლის შედეგად მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების ხარისხი გაიზარდა და ცოდნის შეფასების კრიტერიუმი გამოცდებზე გამოვლენილი ცოდნა იქნება.

მასალის გამოყენების პირობები